

საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის

წევრების შეხვედრის ოქმი

30 სექტემბერი 2013

შეხვედრა გაიმართა ორგანიზაცია საქართველოს ბავშვების ოფისში 2013 წლის 30 სექტემბერს 14:00 საათზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კვიციანი გეორგიკა - ალექსანდრე კალანდაძე
2. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - ნინო ალდგომელაშვილი
3. საქართველოს კარიტასი - თამარ ჩადუნელი
4. უფლება ჯანმრთელობაზე - ირმა მანჯავიძე
5. ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია - მარინე შენგელია
6. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია - ნელი აკობია
7. თანადგომა - ნინო წერეთელი
8. SOS - საქართველო - ნოდარ თოფურიძე
9. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი - ქეთი მარგალიტაძე
10. ევრიჩაილდი - ანდრო დადიანი
11. პირველი ნაბიჯი საქართველო - თამუნა ზაალიშვილი
12. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ქეთინო ბებიაშვილი
13. მაკლენის ასოციაცია ბავშვებისთვის - ნინო ლომიძე
14. ვორლდვიჟნი საქართველო- მაია მგელიაშვილი, ირინა გრძელიძე, მარინა მენტეშაშვილი
15. ბრეს საქართველო - ვაჟა იარაჯელი
16. საქართველოს ბავშვები - ნათია ზაბახიძე, ჯაბა ნაჭყებია

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. საბჭოს არჩევნები - კოალიციის წევრი ორგანიზაციებიდან 7 წევრის არჩევა.
 - a. ჩატარდა კენჭისყრა და საბჭოს წევრებად არჩეულ იქნა შემდეგი 7 ორგანიზაცია:
 - i. საქართველოს ბავშვები
 - ii. პირველი ნაბიჯი საქართველო

- iii. ვორლდვიჟენ საქართველო
- iv. თანადგომა
- v. SOS - საქართველო
- vi. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კვლევის ცენტრი
- vii. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2. კოალიციაში ახალი ორგანიზაციები მიღების წესი

- a. დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით შედგა შეთანხმება წევრების მიღების წესზე
 - i. შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული წესით
 - ii. კოალიციაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაცია ვალდებულია შეავსოს რეგისტრაციის ფორმა რათა ყველა წევრმა განიხილოს მოწოდებული ინფორმაცია
 - iii. საბჭოს სამდივნო/მდივანი აგზავნის წევრობის კანდიდატის მიერ შევსებულ ფორმას არსებულ წევრებთან
 - iv. წევრების მიერ ხდება კანდიდატის მიღებასთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირება ელექტრონულად.
 - v. საბჭოს სამდივნო/მდივანი აფიქსირებს ახალი წევრის მიღებას ან უარს მიღებაზე.
- b. დასახელდა კოალიციის წევრობის კანდიდატები: „პარტნიორობა ბავშვებისათვის“, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, სტუდია „ეიდისი“, „ბავშვი და გარემო“, „ცხოვრების შანსი“, „რეალური ხალხი, რეალური ხედვა“.
- c. კოალიციის წევრების სარეგისტრაციო ფორმა - გამოითქვა მოსაზრება რომ არსებულ ფორმას დაემატოს შემდეგი პუნქტები:
 - i. ვებგვერდი
 - ii. საკონტაქტო ინფორმაცია
 - iii. წარმომადგენელი და ალტერნატიული წარმომადგენელი (მხოლოდ საბჭოს წევრების შემთხვევაში)
- d. კოალიციის არსებული წევრები ასევე შეავსებენ აღნიშნულ ფორმას რათა შეიქმნას ელექტრონული ცნობარი, რომელიც შესაძლოა განთავსდეს კოალიციის ვებ-გვერდზე

3. თემატური მიმართულებები

- a. 4 მიმართულების ფარგლებში კოალიციის დამსწრე წევრებმა აირჩიეს თემატური ჯგუფები, რომლებშიც გააგრძელებენ მუშაობას.

- b. კოალიციის ყველა წევრის პოზიციის დასაფიქსირებლად, გადაწყდა რომ ოქმთან ერთად დაიგზავნოს დოკუმენტი სადაც ორგანიზაციები ელექტრონულად დააფიქსირებენ მონაწილეობის სურვილსა და მიმართულებას.
 - c. ჯგუფების კომპლექტაციის შემდეგ გაიმართება მიმართულებების შესაბამისი შეხვედრები სადაც მონაწილეთა მიერ აირჩევა მიმართულების კოორდინატორი.
4. საბჭოს წევრების მიერ თავმჯდომარის არჩევა
- a. საბჭოს წევრების მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა „საქართველოს ბავშვების“ წარმომადგენელი - ჯაბა ნაჭყებია.
5. საბჭოს წევრების მიერ აღმასრულებელი მდივნის დანიშვნა
- a. საბჭოს წევრების მიერ აღმასრულებელი მდივნად დანიშნული იქნა მაია მგელიაშვილი - „ვორლდვიჟენის“ წარმომადგენელი